



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

2011 წელი 11 თებერვალი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №13

მიხეილ ჩიგოგიძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39¹-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საგარეო ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი – მიხეილ ჩიგოგიძე 2011 წლის 12 თებერვლიდან 2011 წლის 15 თებერვლის ჩათვლით, ქალაქ თბილისში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რეგულირების ღონისძიების ჩასატარებლად ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, საკრებულოს აპარატის საგარეო ურთიერთობის საკითხებში მთავარ სპეციალისტს – მიხეილ ჩიგოგიძეს, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი